საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №40/ნ
2016 წლის 18 მაისი

ქ. თბილისი

ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ” ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და მე-7 პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ” ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ეროვნული სასწავლო გეგმა ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36 ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის:

ა) შესავალი;

ბ) I კარი;

გ) II კარის 49-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4 (მხოლოდ VII კლასი) პუნქტები;

$გ^1$) II კარის 49-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები;

დ) II კარის 50-ე მუხლი;

ე) II კარის X თავის I კლასი, II კლასი, III კლასი, IV კლასი, V კლასი, VI კლასი, ქართულენოვანი სკოლების VII კლასი;

ვ) III კარის XI, XII, XIII (VII კლასი), XV, XVI, XVII, XVIII (VII დონე), XIX^2, XX, XXI, XXII (VII კლასი), XXIV, XXV, XXVI (I დონე (ს.I), II დონე (ს.II)), XXVII, XXVIII დონე (ს.1), XXIX, XXX (I დონე (ს.I), II დონე (ს.II)), XXXI, XXXII დონე (ს.I), XXXIII, XXXIV^2, XXXIV^3, XXXIV^4 , XXXIV^5, XXXIV^6 დონე I (ს.1), XXXIV^7, XXXIV^8, XXXV, XXXVI, XXXVII (VII კლასის ისტორია და გეოგრაფია), XXXIX, XL, XLI (VII კლასი), XLIII, XLIV, XLV, XLVI, XLVII (VII კლასი), XLVIII, XLIX, L (VII კლასი), LI, LII, LIII, LIV, LV (VII კლასი) თავები.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №32/ნ - ვებგვერდი, 10.09.2018წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 8 აგვისტოს ბრძანება №164/ნ - ვებგვერდი, 14.08.2019წ.

მუხლი 3. (ამოღებულია)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 15 თებერვლის ბრძანება №27/ნ - ვებგვერდი, 15.02.2017წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №32/ნ - ვებგვერდი, 10.09.2018წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 17 ნოემბრის ბრძანება №124/ნ - ვებგვერდი, 21.11.2023წ.

მუხლი 4. (ამოღებულია)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 17 ნოემბრის ბრძანება №124/ნ - ვებგვერდი, 21.11.2023წ.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი

თამარ სანიკიძე